



#არჩევნები2017: საინფორმაციო ბიულეტენი #5 ოქტომბერი, 2017 წელი

საიას სადამკვირვებლო მისიის შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგი 1 ივნისს დაიწყო.

საია წინასაარჩევნო პერიოდს სათაო და რეგიონული ოფისების მეშვეობით, თბილისსა და საქართველოს 8 რეგიონში: აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და სამეგრელოში აკვირდება.

მონიტორინგის მიზანს, რომელიც **USAID-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - „საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“** ფარგლებში ხორციელდება, წარმოადგენს ხელი შეუწყოს:

ობიექტური, სამართლიანი, დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიების, სამართლიანი სასამართლოსა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას და უზრუნველყოს ინკლუზიური და კონკურენტული საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა ქალების, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის. ასევე, გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების ხელშეწყობა, კერძოდ კი, საქართველოს მოქალაქეებისა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ დარღვევებსა და ტენდენციებზე და ყურადღების გამახვილება ხარვეზებზე, რომელიც თან ახლავს საარჩევნო პროცესებს. საარჩევნო კანონმდებლობაში

პრობლემების იდენტიფიცირება და არჩევნების დასრულების შემდეგ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირება.

დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში ორგანიზაცია შესაბამის ინფორმაციას თუ საჩივრებს წარადგენს საარჩევნო ადმინისტრაციაში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და სხვა შესაბამის უწყებებში, კანონით გათვალისწინებული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით.

ბიულეტენში ასახულია ის ფაქტები, მოვლენები და დარღვევები, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული გავლენა მოახდინონ საარჩევნო გარემოზე. მასში მოყვანილი სავარაუდო დარღვევებისა და ფაქტების შესახებ ზოგიერთ ინფორმაციასთან დაკავშირებით საიას დამატებით აქვს გამოთხოვილი ინფორმაცია, რომლის ანალიზის შედეგებსაც, ასევე, გავაცნობთ საზოგადოებას. აგრეთვე, უახლოეს მომავალში, ორგანიზაცია საზოგადოებას წარუდგენს წინასაარჩევნო კონტექსტის და ამ პერიოდში განვითარებული მოვლენების თაობაზე, მეორე შუალედურ ანგარიშს.

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი მომზადებულია USAID-ის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“ ფარგლებში.

**ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები:
საბავშვო ბაღების პედაგოგების მობილიზება სააგიტაციო ღონისძიებებზე**

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მმართველი პარტიის თბილისის მერობის კანდიდატის კახა კალაძის წინასაარჩევნო შეხვედრებზე თბილისის საბავშვო ბაღების თანამშრომლების ორგანიზებული დასწრება ხდება. ბაღებში დასაქმებულ პირები ადასტურებენ, რომ ისინი რამდენიმე დღით ადრე გააფრთხილეს, რომ უნდა დასწრებოდნენ მმართველი პარტიის თბილისის მერობის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრას, რომელიც გაიმართა თბილისში, 24 სექტემბერს, კვირა დღეს. ამავე ინფორმაციის თანახმად, ორგანიზებული ხასიათი აქვს და უზრუნველყოფილია ბაღების თანამშრომელთა ტრანსპორტირებაც.

მიგვაჩნია, რომ მსგავსი ფაქტები წარმოადგენს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას მმართველი პარტიის სასარგებლოდ და ეწინააღმდეგება ქუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 მუხლს, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიის საქმიანობის გამიჯვნას. აღნიშნული მუხლის თანახმად, პოლიტიკური პარტიები არ უნდა იყვნენ აღრეულნი სახელმწიფოსთან. ასევე, შესწავლილი უნდა იყოს იმ ხარჯების კანონიერებაც, რომელიც იხარჯება პედაგოგების აღნიშნულ შეხვედრებზე ტრანსპორტირების უზრუნველყოფისთვის.

გარდა ამისა, საიას მონიტორებისთვის ცნობილი გახდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში პარტიული შეხვედრებისთვის იბარებენ ბაღების და სკოლების პედაგოგებს და მათ ავალდებულებენ მმართველი პარტიის კანდიდატების შეხვედრებზე დასწრებას. პედაგოგებს სთხოვენ, რომ წინასაარჩევნო შეხვედრებზე დამატებით კიდევ ერთი ადამიანი ე.წ. „მხარდაჭერი“ მიიყვანონ. ერთ-ერთი ბაღის პედაგოგმა საიას დამკვირვებელთან საუბარში განმარტა, რომ ეს ვალდებულება დაკისრებული აქვს ყველა პედაგოგს და ბაღის აღმზრდელს, თუმცა პედაგოგებს ამ ფაქტებზე ღიად საუბარი არ სურთ. საიას დამკვირვებელი თავად შეესწრო იმ ფაქტს, თუ როგორ ეძებდა ერთ-ერთი ბაღის პედაგოგი ადამიანს, რომელსაც თელავის მუნიციპალიტეტში „ქართული ოცნების“ საკრებულოს მაჟორიტარი კანდიდატის, ზურაბ ლილუაშვილის წინასაარჩევნო შეხვედრაზე წაიყვანდა. დამკვირვებლის ინფორმაციით, მსგავსი შემთხვევები ფიქსირდება ასევე ახმეტაშიც.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2016 წ. საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის დროსაც, მე-2 ტურის წინ გავრცელდა ინფორმაცია საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებული პირების სავარაუდო იძულების შესახებ, რაც საიას მონიტორების მიერ გადამოწმების შემდეგ დადასტურდა.¹ კერძოდ, საიას მონიტორების ინფორმაციით, თბილისსა და რეგიონებში საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულების თანამშრომლებს ზემდგომი თანამდებობის პირები მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ მხარდაჭერას ავალდებულებდნენ და ავალდებულებდნენ ე.წ. „მხარდაჭერი“ პირების სიის შედგენას.²

საიამ ზემოაღწერილი ფაქტის შესახებ მიმართა უწყებათაშორის კომისიას, რომელმაც ფაქტის დამატებით შესწავლის მიზნით უკვე მიმართა შსს და პროკურატურას. აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

საია აგრძელებს ზემოაღწერილი საქმის მონიტორინგს და საზოგადოებას განახლებულ ინფორმაციას წარუდგენს.

¹ მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურად გარკვეულმა პირებმა საიას მონიტორებთან დაადასტურეს გავრცელებული ინფორმაცია, საკუთარი ვინაობის საჯაროდ დასახელებაზე უარი განაცხადეს.

²<https://gyla.ge/files/news/2008/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2016-GEO.pdf>

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტი გურიაში

ა.წ. 10 სექტემბერს გაზეთ „გურია ნიუს“- ში გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ქ. ოზურგეთში, პარტია „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, სადაც პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გურიის მუნიციპალიტეტების მერობის კანდიდატები წარადგინა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი გია გიორგაძე გამგეობის ბალანსზე მყოფი სახელმწიფოს კუთვნილი ავტომობილით იყო მისული (ფაქტს ადასტურებს მოწმე და ასევე არსებობს ფოტო მასალა).

საიამ შეისწავლა ზემოაღნიშნული ფაქტი და მიიჩნია, რომ ადგილი აქვს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის წარმოების დაწყების მიზნით, განცხადებით მიმართა #62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიას.

#62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიამ ჩაატარა მოკვლევა და დაადგინა, რომ გია გიორგაძე არ მონაწილეობდა 10 სექტემბრის შეხვედრაში. გია გიორგაძის განმარტებით, იგი იმყოფებოდა ქ. ოზურგეთში პირად საქმეზე. შესაბამისად, #62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიამ მიზანშეუწონლად მიიჩნია ჩოხატაურის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა.

საიამ მიიჩნია, რომ №62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სრულყოფილად არ შეისწავლა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებაში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები, არაჯეროვნად ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება და შესაბამისად, მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარის შესახებ. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საიამ გაასაჩივრა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და მოითხოვა შემდეგი:

1. №62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების №131 ბათილად ცნობა;
2. საიას ოზურგეთის ოფისის ა.წ. 18 სექტემბრის განცხადებაში №გ/04-09 (ოლქში რეგისტრაციის №529) აღწერილი ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლა და შესაბამისი სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღება;
3. №62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომის დაკისრება საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისა და სამსახურობრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებისთვის.

ცესკომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საიას საჩივარი: გაუქმდა №62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 27 სექტემბრის №131 გადაწყვეტილება. №62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დაევალა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებაში დასახელებული მოწმის გამოკითხვა და საქმეში არსებული მასალების შესწავლის შედეგად ახალი გადაწყვეტილების მიღება.

საია აგრძელებს ზემოაღწერილი საქმის მონიტორინგს და საზოგადოებას განახლებულ ინფორმაციას წარუდგენს.

წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევა

მიმდინარე წლის 29 სექტემბერს, საინფორმაციო სააგენტო „[ნეტგაზეთში](#)“ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაგეგმილი მატჩის შემდგომ, რომელშიც მსოფლიოს ვარსკვლავებთან ერთად ”ქართული ოცნების” თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძეც მონაწილეობდა, უკრაინის მოქალაქემ [ანდრეი შევჩენკომ](#) კახი კალაძეს მხარდაჭერა გამოუცხადა და აღნიშნა, რომ ის კარგი მერი იქნება: *“დიდად მოხარული ვარ აქ ყოფნით. გულით ვუსურვებ წარმატებას ჩემს მეგობარ კახი კალაძეს. დარწმუნებული ვარ, ის კარგი მერი იქნება”*.

მიგვაჩნია, რომ, აღნიშნულ ქმედებაში, სავარაუდოდ, იკვეთება საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევა შემდგომ გარემოებათა გამო:

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „31“ ქვეპუნქტის თანახმად: *წინასაარჩევნო აგიტაცია ეს არის ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის,*



წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდაჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

ამავე კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად: *წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვს უცხო ქვეყნის მოქალაქეს.*

საიას მიმდინარე წლის 21 სექტემბრის #გ-01/339-17 განცხადებაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ა.წ. 25 სექტემბრის #01-02/1671 პასუხის მიხედვით, *იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნება საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, საარჩევნო ადმინისტრაცია კანონმდებლობით დადგენილ ქმედებებს განახორციელებს.*

საია მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტი, სავარაუდოდ, მოიცავს წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევის ნიშნებს, რაც დამატებით შესწავლას საჭიროებს.

საიამ აღნიშნული ფაქტის შესახებ განცხადებით საარჩევნო ადმინისტრაციას უკვე მიმართა და მათ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საქმის შესწავლა სთხოვა.

ცესკომ ზემოაღნიშნული ფაქტი არ მიიჩნია წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევად და თავის [გადაწყვეტილებაში](#) განმარტა, რომ განცხადებაში მითითებული ღონისძიება წარმოადგენდა საქველმოქმედო საფეხურთო მატჩს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული და ჩატარებული იყო კონკრეტული საქველმოქმედო მიზნებიდან გამომდინარე. ვინაიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არ წარმოადგენს საარჩევნო სუბიექტს, აღნიშნული ღონისძიება ვერ იქნება განხილული როგორც წინასაარჩევნო კამპანიის შემადგენელი ნაწილი.

საია არ იზიარებს ცესკოს ზემოთ მოყვანილ განმარტებას წინასაარჩევნო აგიტაციის წესების განსაზღვრის შესახებ და გადაწყვეტილებას [განცხადებით](#) ეხმაურება.

უკანონო აგიტაცია

2017 წლის 29 სექტემბერს სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო რგოლი, რომლითაც დგინდება, რომ #79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის #1 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი, მ. ჟ. (წარმდგენი - პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) ამომრჩეველთა ბარათების დარიგების პარალელურად მოქალაქეს გადასცემს სააგიტაციო მასალას, რასაც თან ახლავს საპასუხო პროტესტი მოქალაქის მხრიდან. კერძოდ, ამომრჩეველი ითხოვს განმარტებას თუ რის საფუძველზე ხდება მისთვის სააგიტაციო მასალის მიწოდება. ჩანაწერით დგინდება, რომ მანანა ჟღენტს სააგიტაციო მასალა გადასცეს ე.წ. „შტაბში“ იმაზე მითითებითა და რეკომენდაციით, რომ უზრუნველყო მისი გავრცელება/გადაცემა ამომრჩეველებისათვის.

საიამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის წარმოების დაწყების მიზნით, განცხადებით მიმართა #79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიას. ზემოაღნიშნული ფაქტის შესახებ კომისიისათვის ასევე მიმართული ჰქონდა სადამკვირვებლო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრს“ , რომლის საჩივრის საფუძველზე შედგენილია სამართალდარღვევის ოქმი და შემდგომი რეაგირებისათვის გადაგზავნილია ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

საია სხვისი საარჩევნო დაგების სასამართლო მონიტორინგის ფარგლებში გააგრძელებს ზემოაღწერილ საქმეზე დაკვირვებას და საზოგადოებას განახლებულ ინფორმაციას წარუდგენს.

ზეწოლისა და იძულების სავარაუდო ფაქტები

არჩევნებამდე ორი კვირით ადრე გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის კანდიდატები საკუთარ კანდიდატურებს ზეწოლის ან გადაბირების შედეგად ხსნიან. აგრეთვე, რიგ შემთხვევებში, ადგილი აქვს ზეწოლას ამომრჩევლებზე იმ მიზნით, რომ მათ მხარი დაუჭირონ მმართველ პარტიას. მსგავსი სახის ფაქტებზე საუბრობს სხვადასხვა ოპოზიციური პარტია და არასამთავრობო ორგანიზაციებს აწვდის შესაბამის ინფორმაციებს.

საია მიიჩნევს, რომ ასეთი ტიპის ფაქტები, დადასტურების შემთხვევაში ჩრდილს მიაყენებს კონკურენტულ და სამართლიან საარჩევნო გარემოს. ამავდროულად, ვინაიდან გავრცელებული ინფორმაციები სავარაუდოდ შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, აუცილებელია მათზე მყისიერი რეაგირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საიამ მოუწოდა შესაბამის ორგანოებს შეესწავლათ მსგავსი სახის ფაქტები და კომპეტენციის ფარგლებში მიეღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები.

არჩევნებში მონაწილეობის ხელშეშლის ფაქტები

მედიაში გავრცელებული [ინფორმაციის](#) მიხედვით, მიმდინარე წლის 3 სექტემბერს პ/გ "პატრიოტთა ალიანსის" ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის წევრის და მაჟორიტარობის კანდიდატის პაატა გაბრიჩიძის ავეჯის საამქრო ცეცხლის გაჩენის შედეგად დაიწვა.

მისი განცხადების თანახმად, ცეცხლის შედეგად მიიღო 30 000 ლარამდე ღირებულების ზარალი. დამწვარია როგორც დამზადებული ავეჯი, ასევე მასალა ახალი ავეჯის დასამზადებლად. საამქროში ცეცხლი შუალამისას გაჩნდა. ცეცხლის გაჩენის სავარაუდო მიზეზად კი, ელექტროენერგია დასახელდა, თუმცა დაზარალებული გაბრიჩიძე ამ ვერსიას არ ეთანხმება, რადგან მისი განცხადებით, ცეცხლის გაჩენის დროისათვის საამქროში ელექტროენერგია გათიშული იყო. საიას წარმომადგენლებთან საუბარში პაატა გაბრიჩიძე არ გამორიცხავს, რომ მომხდარ ფაქტი შეიძლება უკავშირდებოდეს მის პოლიტიკურ საქმიანობას.

პაატა გაბრიჩიძე 2012 წლიდან გახლდათ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, თუმცა შემდგომ „ქართული ოცნება“ დატოვა. კოალიცია „ქართული ოცნების“ დატოვებისა და პოლიტიკური საქმიანობის პ/გ „პატრიოტთა ალიანსში“ გაგრძელების შემდეგ კი, მის მიმართ როგორც თავად აცხადებს, რამდენჯერმე განხორციელდა მუქარის შემცველი ზარები.

საიამ ზემოაღნიშნული ფაქტის შესახებ, უკვე მიმართა უწყებათაშორის კომისიას. კომისიამ კი, ფაქტის დამატებით შესწავლის მიზნით, მიმართა შსს და პროკურატურას. აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

საია აგრძელებს ზემოაღწერილი საქმის მონიტორინგს და საზოგადოებას განახლებულ ინფორმაციას წარუდგენს.

ზეწოლა/დაშინების ფაქტები დმანისში

მიმდინარე წლის 28 სექტემბერს საინფორმაციო პორტალ droa.ge - ზე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვით „ქართული ოცნება“ მოსახლეობაზე ზეწოლას ახდენს. სოფელ ირგანჩაის მაცხოვრებლებს მმართველი პარტიის დმანისის შტაბის იურისტი ემზარ პეტრიაშვილი სთხოვს ყურანზე დაიფიცონ, რომ 21 ოქტომბერს ბიულეტენში #41-ს შემოხაზავენ.

რამდენიმე დღით ადრე კი, იმავე პორტალზე, გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი კახა ოქრიაშვილი და მისი გუნდი დამოუკიდებელ კანდიდატებს კანდიდატურის მოხსნას [აიძულებს](#). აღნიშნულზე დმანისის მოქმედი გამგებელი გოგი ბარბაქაძე [საუბრობდა](#).³

სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, საიას წარმომადგენლები ფაქტების შესწავლისა და მონიტორინგის მიზნით, მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს ჩავიდნენ დმანისში და უშუალოდ გაესაუბრნენ „შენობის მოძრაობიდან“ დმანისის მერობის კანდიდატს გოგი ბარბაქაძესა და სოფელ ირგანჩაის რამდენიმე მაცხოვრებელს. შეხვედრის მიმდინარეობისას მერობის კანდიდატმა ისაუბრა მოსახლეობაზე განხორციელებულ ზეწოლის და სავარაუდო მოსყიდვის ფაქტებზე (ყურანი, აგიტატორობაში ჩართვა) და ასევე, პირადად მისი ან მისი ახლობლების მიმართ განხორციელებულ ზეწოლის რამდენიმე შემთხვევაზე. მისი განცხადებით:

➤ ა.წ. 27 სექტემბერს დმანისის „ქართული ოცნების“ შტაბის იურისტმა ემზარ პეტრიაშვილმა და კახა ოქრიაშვილის ნათესავმა მამუკა ოქრიაშვილმა

შეკრიბა სოფელ ირგანჩაის 50 მკვიდრი და დაადებინა პირობა ყურანზე დაფიცებით, რომ არჩევნებში ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემდნენ და იქნებოდნენ „ქართული ოცნების“ აგიტატორები. გოგი ბარბაქაძის განცხადებით, [ყურანზე დაფიცების ფაქტებს ადგილი ჰქონდა 2012 წელსაც](#), როდესაც კახა ოქრიაშვილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი იყო.⁴ მიუხედავად მრავალი მცდელობისა, საია ვერ დაუკავშირდა პარლამენტის წევრს კახა ოქრიაშვილს;

➤ სოფელ ირგანჩაის მოსახლეობას პირდებიან, რომ ხმის მიცემის სანაცვლოდ არჩევნების შემდგომ დაეხმარებიან პრობლემური საკითხების მოგვარებაში;⁵

➤ „ქართული ოცნების“ წევრები მასიურად სთხოვენ სოფლის მაცხოვრებლებს აგიტატორობას და პირდებიან ანაზღაურებას 150 ლარის ოდენობით, რომელიც მოხდება ნაღდი ანგარიშსწორებით;

➤ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურში, სამსახურის უფროსმა აიძულა მერობის კანდიდატების ნათესავები დაეწერათ განცხადება და ნებაცხადობით დაეტოვებინათ სამსახური. ერთმა მათგანმა განცხადება სამსახურიდან წამოსვლის შესახებ, უკვე დაწერა, თუმცა მეორემ, სეირან ხიზანიშვილმა, განცხადება არ დაწერა და დღემდე აგრძელებს საკუთარ თანამდებობაზე მუშაობას;

➤ მერობის კანდიდატის მხარდამჭერის სახლში, ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლებმა ჩაატარეს ჩხრეკა;

➤ პოლიციის თანამშრომლები საცხოვრებელ სახლში არარეგისტრირებულ ცეცხლსასროლ იარაღს ეძებდნენ.

³ <https://www.youtube.com/watch?v=XkM4cpCx1Q8>

⁴ <https://www.youtube.com/watch?v=dhIhio8VD4A>

⁵ ერთ-ერთ მათგანს დაპირდნენ, რომ დაეხმარებოდნენ დაკარგული ცხვრების პოვნის საქმეში (აღნიშნულ მოქალაქეს,

რამდენიმე თვეა, მიმართული აქვს საგამოძიებო ორგანოებისათვის, თუმცა ამ დრომდე არანაირი საგამოძიებო მოქმედებები არ ჩატარებულა).

კანონპროექტი გენდერული კვოტირების შესახებ

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტების შემდეგ, *კანონპროექტს გენდერული კვოტირების შესახებ* მხარი ასევე იურიდიულმა კომიტეტმაც დაუჭირა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 10 ხმით, ერთხმად, პირველი მოსმენისთვის, პრინციპების დონეზე, მხარი დაუჭირა ორგანული კანონის პროექტს [„საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“](#), რომელიც წარმომადგენლობით ორგანოებში გენდერული თანასწორობის სავალდებულო იურიდიული ნორმით უზრუნველყოფის საკითხს შეეხება.



პროექტის თანახმად, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტიული სიების წარდგენისას, პარტიებს დაევალებათ დაიცვან სქესთა ბალანსი ისე, რომ პარტიულ სიაში ყოველი მეორე წარადგინონ განსხვავებული სქესის კანდიდატი. წინააღმდეგ შემთხვევაში ცენტრალური საარჩევნო კომისია პარტიას უბრუნებს სიას ხარვეზის აღმოსაფხვრელად, ხოლო ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში პარტია ვერ გაივლის რეგისტრაციას. გარდა ამისა, როგორც პარლამენტის, ასევე საკრებულოს წევრის მიერ მანდატზე უარის თქმის შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს იმავე სიაში რიგით მომდევნო იმავე სქესის კანდიდატი.

კანონპროექტის ინიციატორი 37 000 ამომრჩეველია, ხოლო ავტორი *ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის სამუშაო გეგმა*. ცვლილების მიზანია პოლიტიკური პარტიებისთვის, სავალდებულო გენდერული კვოტირების გზით, წარმომადგენლობით ორგანოებში გენდერული ბალანსის გაუმჯობესება.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული კომიტეტი კანონპროექტის წამყვანი კომიტეტია. სავარაუდოდ, კანონპროექტის პლენარული განხილვები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დაიწყება.

საია აგრძელებს ზემოაღნიშნული კანონპროექტის აქტიურ მხარდაჭერას და საზოგადოებას განახლებულ ინფორმაციას წარუდგენს.

საუბნო საარჩევნო კომისიის დამკვირვებელთა ტრენინგები

მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში, საიამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, საუბნო საარჩევნო კომისიის დამკვირვებელთა ტრენინგები გამართა.

დამკვირვებლებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სადამკვირვებლო მისიის, მეთოდოლოგიისა და საარჩევნო კანონმდებლობით დაადგენილი პროცედურების შესახებ. დამკვირვებლები გაეცნენ არჩევნების დღის შესაძლო დარღვევებსა და მათზე რეაგირების სამართლებრივ გზებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნოვაციას წარმოადგენს ინკლუზიურ საარჩევნო გარემოზე დაკვირვება, რომლის დროსაც ყურადღება გამახვილდება ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პასიური და აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზების მდგომარეობაზე. ამ მიზნით შემუშავდა სპეციალური კითხვარები, რომლებსაც საუბნო კომისიის დამკვირვებლები არჩევნების დღეს შეავსებენ.



ტრენინგების დასასრულს დამკვირვებლებმა ხელი მოაწერეს დამკვირვებლის ფიცს.

აღნიშნული ფიცი მოიცავს ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების გლობალური ქსელის (GNDEM) ინიციატივით არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის შემუშავებული სადამკვირვებლო მონიტორინგის გლობალური პრინციპების დეკლარაციასა და ქვეყნის კოდექსს, რომელსაც საია 2010 წელს შეუერთდა.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 500-მდე საუბნო საარჩევნო დამკვირვებელი ქვეყნის მასშტაბით დააკვირდება.



საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერა უზრუნველყოფს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიზნობრივ იმპა ბანკში. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მოსაზრებები ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და შესაძლებელია არ გამოხატავდეს USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

THIS NEWS LETTER WAS MADE POSSIBLE BY THE GENEROUS SUPPORT OF THE AMERICAN PEOPLE THROUGH THE UNITED STATES AGENCY FOR INTERNATIONAL DEVELOPMENT (USAID). THE OPINIONS EXPRESSED IN THIS NEWS LETTER BELONG TO GYLA AND MAY NOT REFLECT THE OPINIONS OF THE DONOR.

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE